„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

საქართველოს ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის
22 - 31 მარტი 2026 წ.
ქ. თბილისი, საჭადრაკო აკადემია “ოლიმპიური ჩემპიონი”, ილია ვეკუას ქუჩა 16ა.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. ჩატარების ვადები და ადგილი:

22.03-31.03. 2026 წ. ქ. თბილისი, საჭადრაკო აკადემია “ოლიმპიური ჩემპიონი”. ილია ვეკუას ქუჩა 16ა.

4. მონაწილენი:

ტურნირში დაიშვებიან 2006 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები.

ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2026 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE30BG0000000584705115). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/m2GjMRs6FzbMYei3A

შეცდომით ჩარიცხული თანხა უკან არ ბრუნდება.

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

6. დროის კონტროლი:

ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

7. რეგისტრაცია და ტურნირის საწევრო შესატანი:

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/jtz6EAnaa94vtnQEA ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის (დაბადების) მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ტურნირის საწევრო შესატანის (50 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 21 მარტი 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია - 50 ლარი.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ტურნირის საწევრო შესატანის საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701. ბანკის კოდი BAGAGE22

საბანკო საკომისიო მომსახურეობის თანხას იხდის გადამხდელი პირი.

შეცდომით ჩარიცხული თანხა უკან არ ბრუნდება.

7.2. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან ტურნირის საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (21 მარტის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.3. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია 100 ლარი.

7.4. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

8. თაი- ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათო
ჩამოსვლის დღე	22 მარტი	
I ტურის კენჭისყრა	22 მარტი	20:00
გახსნა	23 მარტი	14:45
I ტური	23 მარტი	15:00
II ტური	24 მარტი	15:00
III ტური	25 მარტი	15:00
IVტური	26 მარტი	15:00
Vტური	27 მარტი	15:00
VI ტური	28 მარტი	15:00
VII ტური	29 მარტი	15:00
VIII ტური	30 მარტი	15:00
IX ტური	31 მარტი	15:00
დახურვა	31 მარტი	19:00

10. გამარჯვებულები:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 2026 წლის 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე.

11. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი - პაატა ვაშაკიძე